ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1698657

ნომერი: AR1280009

თარიღი : 20.01.2015

გაცემის თარიღი : 27.01.2015

გაცნობის თარიღი : 28.01.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩიკვილაძე პ/ნ 01001013965
- გლდანი, I მ/რ, კორპ.23, ბინა 58

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმაზე არ ფიქსირდება სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობა, აქედან გამომდინარე სამსახურისთვის გაურკვეველია მისი კანონიერების საკითხი. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის კანონიერების დამადასტურებელი საბუთი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული კანონმდებლობის მიხედვით უკანონო შენობა-ნაგებობის შემდგომ განვითარებაზე და სარეკონსტრუქციო სამუშაოებებზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს. აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენასთან ერთად საჭიროა მოხდეს სარეკონსტრუქციო ნაგებობის საჯარო რეესტრში რეგისტრირება და განახლებული საკადასტრო გეგმისა და ამონაწერის წარმოდგენა.

მხოლოდ ზემოაღნიშნულის განხორციელების შემდეგ გაითვალისწინეთ:

-ვინაიდან ობიექტი განთავსებულია ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში და საპროექტო დავალებით გათვალისწინებულია ქუჩის მხარეს გამომავალი ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით, არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით რეკონსტრუქციის განხორციელება. ღიობის რეკონსტრუქციის ნაწილში სამუშაოების ვიზუალური მხარე საჭიროებს უფრო მეტად დახვეწა–გადამუშავებას, საჭიროა ღიობი მოეწყოს ნაკლები დანაწევრებით, ასევე ღიობის რეკონსტრუქციისას მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის გადაწყვეტის ნაწილში, გამოყენებულ იქნას თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები, მეტალოპლასტმასის ღიობების ნაცვლად მოეწყოს ალუმინის ალათებით შევსებული კარ-ფანჯარა. ყოველივე აქდან გამომდინარე წარმოსადგენი იქნება არსებული სიტუაციის ფოტოსურათზე დამუშავებული ზემოაღნიშნულის შესაბამისად განახლებული ფოტომონტაჟები.

-არქიტექტურის სამსახურში შემოსულ სარეკლამო აბრაზე შესრულებული წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტირირებულ) ფორმას. ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში კი ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული (ამჟამად წარმოდგენილ ფოტომონტაჟზე ასახულ სარეკლამო აბრებზე დატანილი წარწერები არ იკითხება).

-ვინაიდან ამ ეტაპზე არ არის მოწოდებული მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრის ამონაწერი და აღნიშნული დოკუმენტი ასევე არ იძებნება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში, შესაბამისად ვერ ხერხდება მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრის ვინაობის დადგენა, აქედან გამომდინარე საჯარო რეესტრის ამონაწერის წარმოდგენის დროს გაითვალისწინეთ, რომ სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს ფართის მესაკუთრემ ან მისმა მინდობილმა პირმა.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.